1

დამტკიცებულია ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის ... ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი“ (შემდგომში- „სკოლა“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე წესდებით.
3. სკოლა დამფუძნებელია ონის მუნიციპალიტეტი და მის კონტროლს ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია.
4. სკოლა გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.
5. სკოლა მისამართია: ქ.ონი, კახაბერის ქუჩა N35.
6. სკოლა ელექტრონული ფოსტის მისამართია: mamisonioni@gmail.com

მუხლი 2. სკოლა ძირითადი მიზნები

ა) ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
ბ) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა და დაოსტატება;
გ) ძირითადი გუნდისა და საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის მოთამაშეების მომზადება;
დ) ინტელექტუალური და საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება;
ე) საერთაშორისო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის მიღება;
ვ) მასობრივი ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა;
ზ) საერთაშორისო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩასატარებელ საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობისთვის უფფას ან/და ეროვნული ლიცენზიის აღება;
თ) ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-განვითარება უეფას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების მინიმალური მოთხოვნების შესახამისად;

2. თავისი მიზნების განსახორციელებლად სკოლა კანონით დადგენილი წესით:
ა) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან
ბ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას;

ონის მუნიციპალიტეტის მერი ... ბიკვაიძე

მუხლი 3. სკოლა სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას (რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი და მისი მოადგილე) , პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს და ფეხბურთის გუნდს.

მუხლი 5. სკოლის მართვა

1. სკოლის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.
2. სკოლის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს სკოლა საერთო და სასწავლო სპორტულ საქმიანობას, პასუხისმგებელია საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

ბ) ადგენს და მუნიციპალიტეტის მერს შესათანხმებლად წარუდგენს სკოლა ბიუჯეტს, საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს.

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სკოლას ყველა სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს კლუბის სახელით.

დ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს კლუბის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სკოლის საკუთრებაში ასრებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

ე) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს სკოლის თანამშრომლებსა და მოწვეულ სპეციალისტებთან, იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის თანამშრომელთა წახალისებებსა და დისციპლინარული პასუხისმგებლობების შესახებ. პედაგოგთათვის (მწვრთვენთათვის) მინიჭებული სამეცნიერო ხარისხისა და საპატიო ჩიდების გათვალისწინებით განსაზღვრავს განაკვეთის დატვირტვასა და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას.

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტარციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს) არსებული დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით განსაზღვრავს მისაღები კონტიგენტის რაოდენობას, წყვეტს მოსწავლეების (სპორტსმენების) სკოლაში ჩარიცხვისა და ვარიცხვის სხვა სპორტულ ორგანიზაციებში მათი გადაყვანის საკითხს.

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს კლუბის შინაგანაწესს.

თ) ამტკიცებს სამუშაო გეგმას, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებას.

ი) ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორის მოადგილეებს.

ონის მუნიციპალიტეტის [illegible] ჩიკვაიძე

ჯ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებას სკოლის წესდებაში ცვლილებისა და დამატების შესახებ.

ლ) წესდებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომელიც აკრძალული არ არის კანონით.

მუხლი 6. სკოლის ქონება და ფინანსები

1. სკოლა დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება, მხოლოდ ამ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.
2. სკოლის დაფინანსების წყაროები:

   ა) შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი.

   ბ) ფასიანი სასწავლებლიდან მიღებული სახსრები.

   გ) დანხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

   დ) სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები:

   ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი.

   ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

   ზ) ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, გრანტები.

   თ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. შემოსავლები მთლიანად ხმარდება სკოლის ფუნქციების განხორციელებასა და მათი გამოყენება სხვა რაიმე მიზნით აკრძალულია.

მუხლი 7. სკოლის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხი

1. სკოლის საქმიანობა ექვემდებარება სახლმწიფოს კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განსახორციელებელ საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ზედამხედველობას.
2. სკოლის კონტროლს ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.
3. დირექტორი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ონის მუნიციპალიტეტის მერის მოთხოვნის შესაბამისად.
4. სკოლის კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწ[illegible]

ონის მუნიციპალიტეტის [illegible] მერი დავით ჩიკვაიძე

MUNICIPALITY CITY HALL ONI GEORGIA 37978275

მუხლი 8. რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია

1. სკოლის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს ონის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით.
2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდებაში რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულების ნამდვილობაზე.
2. ამ წესდებას და მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ონის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე ჩიკვაიძე

ონის მუნიციპალიტეტის მერია
საქართველო • GEORGIA
237978278
ONI MUNICIPALITY CITY HALL